



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკა ხოხაშვილი

ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა და პრობლემები  
საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:  
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი  
2019

## ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნ.ხობაშვილი

### ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა და პრობლემები საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „**ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა და პრობლემები საქართველოში**“ შეეხება სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს საქართველოში. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა მონოპოლიზაციის კრიტერიუმები, კონკურენტული პოლიტიკის ჩამოყალიბების და რეალიზაციის ეტაპების საქართველოში. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია**. ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ კონკურენცია და ჯანსაღი კონკურენციული გარემო საბაზრო ურთიერთობების განვითარების საწინდარია, ამიტომ ქვეყანა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებს, ყველანაირად უნდა ეცადოს, შეიმუშაოს პროგრესული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას. ჩატარებული **კვლევის საგნია** ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების კვლევა და ანალიზი. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება განსაკუთრებით აქტუალურია არა მარტო მაღალგანვითარებად, არამედ განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, სადაც ასეთი კანონმდებლობის არსებობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის შიგნით წარმოებისა და მომსახურების განვითარების სტიმულირება და საერთაშორისო ბაზარზე გასვლა. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს– მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს.

## **A n n o t a t i o n**

N. Hogashvili

### **Policy and problems of antitrust regulation in Georgia**

The master's work "Politics and Problems of Antimonopoly Regulation in Georgia" addresses the problems of the formation of state antimonopoly policy in Georgia. Our goal was to study the criteria for monopolization, the establishment of competition policy and the implementation of stages in Georgia. Therefore, I think that the topic that we are studying is relevant. The goal of the study is to show that competition and a healthy competitive environment are a prerequisite for the development of market relations; therefore, a country that recognizes the principles of a market economy should try to develop progressive antitrust laws and promote healthy competition. The study was conducted and analyzed by antitrust offenses. The object of the research is information on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia, the National Statistical Office of Georgia and the Competition Agency of Georgia. The main source of research conducted by us confirms that antitrust legislation is not only highly developed, but also for developing countries where it is impossible to stimulate the development of production and services within the country without leaving such legislation and not entering the international market. The novelty of our research has shown that the regulatory agency should not disclose a monopoly firm, but a monopoly price. The existence of a monopoly does not diminish the benefits of society - only the monopoly price will cause losses.

# შინაარსი

შესავალი .....

## თავი I

### სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში

- 1.1. კონკურენტული პოლიტიკის ჩამოყალიბების და რეალიზაციის ეტაპები საქართველოში
- 1.2. ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
- 1.3. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა

## თავი II

### საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის რეგულირების პრობლემები და პერსპექტივები

- 2.1. ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობის ეფექტიანობა-ხელისუფლების პოლიტიკური ნება
- 2.2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა დაფუძნების პირველ წლებში
- 2.3. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა 2016-2018 წლები

დასკვნა .....

გამოყენებული ლიტერატურა .....

დანართები .....

## შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა და პრობლემები საქართველოში“ შეეხება შეეხება სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს საქართველოში. პოლიტიკა. „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემუშავება და გატარება თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ახასიათებს არა მარტო იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ, არამედ მათაც (მათ შორის საქართველოს), რომლებიც დღეისათვის აშენებენ ასეთ ეკონომიკას. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განმარტება აუცილებელია იმის გამო, რომ მონოპოლიების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შედეგად საზოგადოება განიცდის ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს, ფერხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყოველთვის იყო მცდელობა ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვებდნენ ბაზარზე მონოპოლიების წარმოქმნას. მრავალი კანონი და კანონქვემდებარე აქტი იქნა შემუშავებული, რომლებსაც უნდა უზრუნველყო სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბაზარზე დომინანტური პოზიციების მოპოვების პროცესის ანალიზი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მცდელობების გამოვლენა და სამართლიანი კონკურენტული თამაშის წესების დამკვიდრება. სამწუხაროდ, ამის განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიღებულ იქნა ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შეიქმნა ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური-კონკურენციის სააგენტო, მისი რეალურად ამოქმედების პრობლემა კვლავ

დღის წესრიგში დგას. იმისათვის, რომ ცხოვრებაში დაინერგოს კანონით განსაზღვრული ნორმები, აუცილებელია კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პროგრამის შემუშავება და ამის საფუძველზე სამოქმედო, დროში გაწერილი გეგმის შედგენა. ქვემოთ გთავაზობთ იმ პირველი რიგის ნაბიჯების ჩამონათვალს, რომელიც რეალურად დანერგავს ქვეყანაში თანამედროვე, ევროპული ყაიდის ანტიმონოპოლიურ რეგულირებას.<sup>1</sup>

იმისათვის, რომ გავერკვეთ პრობლემის არსში და ავხსნათ, თუ რატომ ვერ მოხერხდა ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სისტემის გამართული ფუნქციონირება, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების დანერგვის ისტორია და ის ხელისშემშლელი სამართლებრივი თუ ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მის რეალურად ამოქმედებაში, გავანალიზოთ, საიდან მოვდივართ, ახლა რა ეტაპზე ვიმყოფებით და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამომავლოდ.

**კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ:** ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ასევე უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის მასალები, და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

---

<sup>1</sup> რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა-ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის. რევაზ ლორთქიფანიძე. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. ნოემბერ-დეკემბერი #6. გვ. 45-56. თბილისი 2014.

# თავი I

## სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში

### 1.1. კონკურენტული პოლიტიკის ჩამოყალიბების და რეალიზაციის ეტაპები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკა წამოუდგენელია კონკურენციის გარეშე და პირიქით. ეკონომიკურ მეტოქეობაში გამარჯვებულს გარანტირებული აქვს მტკიცე პოზიციები და მაქსიმალური მოგება, მაგრამ ეს იოლი როდია. საბაზრო ეკონომიკური მოდელი თამაშის განსხვავებულ წესებს აწესებს, რომლითაც მწარმოებელი შეძლებს თავისი ნაწარმისთვის ეკონომიკური უპირატესობების მინიჭებას და მომხმარებლის დაინტერესება-მოზიდვას. დიდი ხანია კონკურენციის ფენომენი მსოფლიო საკუთრება გახდა და გლობალური მასშტაბები შეიძინა. თანამედროვე ეტაპზე სწორედ კონკურენტუნარიანობის ინდიკატორი განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოს ადგილსა და როლს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. იგი ხელს უწყობს მონოპოლიებისა და სხვა მონოპოლიური სტრუქტურების ჩამოყალიბებას ბაზარზე, რაც სახელმწიფოებს აიძულებს შეიმუშაონ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემუშავება და გატარება თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ახასიათებს არა მარტო იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ, არამედ მათაც (მათ შორის საქართველოს), რომლებიც დღეისათვის აშენებენ ასეთ ეკონომიკას. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განმარტება აუცილებელია იმის გამო, რომ მონოპოლიების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შედეგად საზოგადოება განიცდის ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს, ფერხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი. ეს დანაკარგები გამოიხატება მომხმარებლის მიერ მოხმარებულ საქონელზე მაღალი (მონოპოლისტური) ფასების გადახდით; მონოპოლისტების მიერ საქონელზე მაღალი ფასების შენარჩუნების

მიზნით, ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვების შეზღუდვით ან შეჩერებით, ამავე მიზნებისთვის ზოგიერთი სახის საქონლის იმპორტის შეჩერებით ან შეზღუდვით; მცირე საწარმოების ხელოვნურად გაკოტრებით, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებასა და საზოგადოების სოციალური ფენის გაუარესებას.“<sup>2</sup>

დღეს მსოფლიოს არცერთი განვითარებული ქვეყანა არ არსებობს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის გარეშე, რომელიც ემსახურება აბსოლუტურ კონკურენციას და მონოპოლისტების გამოდევნას ბაზრიდან. პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ დაარეგულიროს ბაზარზე მოქმედი მონოპოლიები, მნიშვნელობა არა ექვს თუ როგორ მიაღწია ამათუიმ კომპანიამ მონოპოლიურ მდგომარეობას.

„ეკონომიკაში მრავალი სახის კონკურენცია არსებობს, მაგრამ ყველა როდი არის სწორი და ახდენს დადებით გავლენას ამათუიმ ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა სახელმწიფოს სწორი მიდგომით ანტიმონოპოლიური რეგულირებისადმი შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილი კონკურენციის დონეს და ეკონომიკა მიიყვანოს წონსწორობის მდგომარეობაში. უდავოდ, საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის როლი საკმაოდ დიდია და მას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, მაშინ საბაზრო სიტუაციამ შეიძლება მიაღწიოს სტაბილურ მდგომარეობას და გაუმჯობესდეს. ამისათვის აუცილებელია ეკონომიკური სიტუაციის განვითარების ზოგიერთი რეკომენდაციის დაცვა.“<sup>3</sup>

ეკონომიკის საბაზრო მოდელის მიღების შემდეგ საქართველოში 1992 წელს, მიღებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი-„მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის შესახებ“. ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა დაცვის და მეწარმეთა მხარდაჭერის სამმართველო, 1995 წელს ეს სამმართველო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ გარდაიქმნა (საქართველოს პრეზიდენტის 1995

<sup>2</sup>სოხაძე კ. ფარესაშვილი ზ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შინაარსი და სახეები. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ სექტემბერი - ნოემბერი №4-5 2013 წელი. გვ 34

<sup>3</sup> მაგრაქველიძე დ. გრიგოლაია ნ. სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 145-150



წლის №60 ბრძანებულება). ამ პროცესებს მოყვა შესაბამისი იურიდიული კანონების მიღება, კერძოს 1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონები:

- ✓ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“;
- ✓ „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“;
- ✓ ხოლო 1998 წელს – საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“;

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოს ამ კანონების აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა:

- ✓ 1996 წელს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველო ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად გარდაიქმნა;
- ✓ 1997 წელს ამ სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №137 ბრძანებულება).

საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები რეგულარულად აკვირდებოდნენ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პილიტიკას. შეგვიძლია ვნახოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის კვლევის შედეგები, სადაც საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული.

ახალმა პოლიტიკურმა გუნდმა საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა. „2000 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილებების თანდათანობით შეკვეცა და მისი პერმანენტული რეორგანიზების ფაზა. გატარებული რეფორმების შედეგად „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2005 წელს გაუქმდა. იგი ჩაანაცვლა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დახმარების სეგმენტს არეგულირებდა და არ შეიცავდა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელ საბაზისო პრინციპებს, დეფინიციებს (როგორებიცაა, მაგალითად, შესაბამისი ბაზარი, დომინირებული პოზიცია, მნიშვნელოვანი საბაზრო

წილი) და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითად პროცედურებს (დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილების, შეთანხმების და კონცენტრაციის რეგლამენტაცია). რეფორმების შედეგად ასევე გაუქმდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.<sup>4</sup>

საქართველოში, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეორგანიზაციის ეტაპები შეიძლება წლების მიხედვით შემდეგი სახით ჩამოვყალიბოთ:

1. 1992-1996 წ. წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შეიქმნა პირველი დოკუმენტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ (1992), რომელიც არეგულირებდა საქართველოში მონოპოლიური ერთეულების მოქმედებას. მათ ხელი არ უნდა შეეშალათ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის.

2. 1996-2004 წ. წ. ამ პერიოდში შეიქმნა კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის კანონმდებლობა, რომელიც ევროპულ გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული. ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც ევალუბოდა დომინანტური მდოგმარეობის მქონე კომპანიების კონტროლი. ამ პერიოდში დაფუძნდნენ პირველი მონოპოლისტები.

3. 2004-2013 წ. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო ლიბერალური რეფორმები. ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობაც ფაქტობრივად ანალიტიკური ფუნქციებით შემოიფარგლებოდა.

4. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2014 წლის მარტში გახორციელებულ იქნა ცვლილებები კანონში „კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა ახალი სამსახური, კონკურენციის სააგენტოს სახით.

---

<sup>4</sup> მაგრაქველიძე დ. გრიგოლაია ნ. სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 145-150

„საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობა და ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები აღნიშნული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ქვეყნის მზაობის შემფასებელი ევროკავშირის მისიის დასკვნაში (2008 წლის ოქტომბერი). შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა განისაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მრავალმხრივი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, 2010 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“.<sup>5</sup>

რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს რეორგანიზაციის (შერწყმის) საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც განისაზღვრა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ. „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“ ითვალისწინებს, რომ აღნიშნული სააგენტო გახდეს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი უწყება და, შესაბამისად, შეითავსოს კონკურენციის სფეროში არსებული სექტორული მარეგულირებლის ფუნქციები.

ასოცირების შეთანხმების დაწყებისას ევროკავშირმა 10 მიმართულება გამოყო: ტარიფების და არასატარიფო ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო ადმინისტრირება, ინვესტიციები და მომსახურება, წარმოშობის სერტიფიკატი, ტექნიკური ბარიერების მოხსნა

---

<sup>5</sup> მაგრაქველიძე დ. გრიგოლაია ნ. სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 145-150

ვაჭრობისთვის, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მდგრადი განვითარება, გარემო და სოციალური საკითხები. ამ ჩამონათვლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 4 სფეროს და მათ შორის აღმოჩნდა კონკურენცია, კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. „ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება. ამიტომაც, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას და კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობას. კონკურენციის პოლიტიკის მეშვეობით ხდება საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას (მათ შორის, შემცირებას), ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და შესაბამისად, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. ჯანსაღი კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნისთვის.“<sup>6</sup>

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი, ისევე, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მომზადდა. ამ კანონის მიზანია:

---

<sup>6</sup> გ.ბენაშვილი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. საქართველოს კონკურენციის სააგენტო. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. 17-18 ნოემბერი 2017 წელი. გვ.50

- ✓ სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- ✓ სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

კანონის დებულებები თანხვედრაშია კონკურენციის სფეროში არსებულ ევროკავშირის რეგულაციებთან:

- ✓ კანონი არ კრძალავს ბაზარზე კომპანიის/კომპანიების მონოპოლიურ (დომინირებულ) მდგომარეობას, აკრძალულია მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- ✓ კანონი აწესებს მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის წესს; კერძოდ, კომპანია (ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები) მონოპოლისტად მიიჩნევა, თუ მას შესაბამისი ბაზრის (საბაზრო ბრუნვის) არანაკლებ 40 პროცენტი უკავია;
- ✓ კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც კომპანია ან ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ბოროტად იყენებენ დომინირებულ პოზიციას და არსებობს ისეთი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება, რომლებიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას (მაგალითად, კომპანიები აწესებენ შეთანხმებულ ფასს მომხმარებელთა საზიანოდ);

- ✓ კანონი ასევე ითვალისწინებს კონცენტრაციების (კომპანიების სრული ან ნაწილობრივი შერწყმის, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის მოპოვების) რეგულირების შემოღებას;
- ✓ კანონი კრძალავს ნებისმიერი ფორმით სახელმწიფო დახმარებას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მისი შეზღუდვის საშიშროებას, და სხვა.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობა კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ქმედების ჩამდენი ეკონომიკური აგენტის მიმართ. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, აკრძალულია შიდა ბაზართან შეუთავსებელი გარიგებების დადება საწარმოებს შორის (იხ. TFEU, 101-ე მუხლი), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციის შეზღუდვაზე წევრ სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე. შესაბამისი გამონაკლისები არ უნდა ქმნიდეს იმის შესაძლებლობას, რომ სათანადო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ კონკურენცია საერთოდ გამოირიცხოს. კანონში ეს მნიშვნელოვანი გარემოება გათვალისწინებული არ არის.“<sup>7</sup>

საქართველოში კონკურენტული გარემოს ეფექტიანი რეგულირების მიზნით „უნდა გაიმიჯნოს კონკურენციის სააგენტოს და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებები და არსებითად არ შეიზღუდოს ამ ორგანოს ძირითადი ფუნქციები (ერთ-ერთი ასეთი ფუნქციაა კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით მარეგულირებელი ორგანოს მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისათვის (ფირმისათვის) განსაზღვრული (სპეციფიკური) ვალდებულებების დაკისრება და მათ აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება). საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და

<sup>7</sup> გ.ბენაშვილი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. საქართველოს კონკურენციის სააგენტო. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. 17-18 ნოემბერი 2017 წელი. გვ.50

ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების ეფექტიანი გამიჯვრებით არის შესაძლებელი, ქვეყანაში განვითარდეს კონკურენტული გარემო ევროკავშირის რეგულაციებისა და „კონკურენციის შესახებ“ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მოდალური კანონით შემოთავაზებული რეკომენდაციების შესაბამისად.“<sup>8</sup>

## 1.2. ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ეკონომიკის მართვის საბაზრო მოდელის მიღებამ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა შეცვალა, უმთავრეს მიმართულებად მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა დასახელდა, რომელიც თავის თავში მოიცავს:

- ✓ კრიზისის შემდგომი პერიოდისათვის ეკონომიკის სტაბილიზაციასა და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპებით ზრდას;
- ✓ ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლის უზრუნველყოფას;
- ✓ საინვესტიციო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას;

მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ვერ მიიღწევა კონკურენტული გარემოს, საინვესტიციო და საბაზრო გარემოს, საგადასახადო და სავალუტო რეჟიმის მახასიათებელი პარამეტრების შესწავლის გარეშე.

„ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანი კოორდინატორია კონკურენცია, მაგრამ იმისათვის, რომ ის სათანადო დონეზე შევინარჩუნოთ, აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც საბაზრო სისტემას ეფუძნება, უმნიშვნელოვანესია კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა - კონკურენტული წესრიგის პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. კონკურენციის პოლიტიკა

---

<sup>8</sup>მაგრაქველიძე დ. გრიგოლაია ნ. სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 145-150

შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმ სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება, რომელთაც კანონით ევალებათ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით.<sup>9</sup>

ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის განვითარების საწინდარია. ამიტომ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გატარდა ზომები კონკურენციის დაცვისა და სრულყოფის მიზნით, „განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანათა უმრავლესობამ შეიმუშავა და განაახლა საკონკურენციო სამართალი. კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრიორიტეტი, რომლის აღმსრულებლებისა და უზრუნველყოფის მიზნით დღეისათვის მსოფლიოს 90 ქვეყანაშია შექმნილი საკონკურენციო სამართლის ეროვნული სისტემები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტულ კანონმდებლობას მცირე ზომის ქვეყნებისათვის, მით უფრო, თუ იგი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა.“<sup>10</sup>

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკა სულ 20-იოდე წელიწადს ითვლის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აშშ-ს ამ მხრივ საუკუნის გამოცდილება აქვს, ეს 20 წელიწადი საქართველოსათვის ძალიან მცირეა, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად ჩვენს ქვეყანაშიც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკის ნორმების შემუშავება და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაცია, რაც დღემდე მეტ-ნაკლები წარმატებით გრძელდება.

არაერთი საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტმა ითანამშრომლა საქართველოს მთავრობასთან კონკურენციული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ქვეყანა ღებულობდა და ღებულობს მხარდაჭერას და მიზნობრივ დახმარებებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების მხრიდან.

---

<sup>9</sup> თოდუა ხ. კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საქართველოში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“. ქუთაისის უნივერსიტეტი 2012წ. დეკემბერი №11, გვ. 13-17

<sup>10</sup>სოხაძე ვ. ფარესაშვილი ზ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შინაარსი და სახეები. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ სექტემბერი - ნოემბერი №4-5 2013 წელი. გვ 34



- ✓ 1998 წელს მსოფლიო ბანკის დახმარებით (80 ათასი აშშ დოლარი გრანტი) საოპერაციო ტექნიკა იქნა შეძენილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით საქართველოში ჩატარდა სემინარები ანტიმონოპოლიური რეგულირების, კონკურენციული პოლიტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

ამავე პერიოდში საქართველოში მიღებულ იქნა კანონი (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება # 95) ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ და ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად განისაზღვრა ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რესტრის ამოქმედება. კანონმა განსაზღვრა „ბუნებრივი მონოპოლია“-ეს იყო სასაქონლო ბაზრის მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე (წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით) უფრო ეფექტური იქნებოდა კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონლის შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე. ბუნებრივ მონოპოლიებს განეკუთვნა:

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროდან:

- ✓ სახელმწიფო საფოსტო კავშირით მომსახურება;
- ✓ სიხშირეთა სპექტრის განაწილება;

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტიდან:

- ✓ სარკინიგზო ხაზი;

სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან“:

- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური მილსადენით ბუნებრივი გაზის შემოტანა და ტრანზიტი;

სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდან“:

- ✓ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი სისტემა;

სახელმწიფო საწარმო „საქაერონავიგაციიდან“:

- ✓ საჰაერო სივრცის გამოყენების სამარშრუტო და სადისპეტჩერო უზრუნველყოფა;

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტიდან:

- ✓ ფოთის საზღვაო ნავსადგური;
- ✓ ბათუმის საზღვაო ნავსადგური;
- ✓ სოხუმის საზღვაო ნავსადგური.

ბუნებრივი მონოპოლიების რეესტრი იწარმოებოდა ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ. „ბუნებრივი მონოპოლიების სფეროებში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების (კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტებისა და მომხმარებელთა ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფის) მიზნით ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მონაწილეობით ან მათ მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მათ მიერ წარმოებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მომხმარებელთა ინტერესების შელახვა.“<sup>11</sup>

2000 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანება №8/42-ის თანახმად განისაზღვრა შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობა. კანონს ჰქონდა შემდეგი ფორმულირება: „შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტი ჩაითვალოს

---

11 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №95. 1998 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1292747?publication=0> გადამოწმებულია 13.05.2019

მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, თუ მისი ხვედრითი წილი ამ სასაქონლო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (ფილიალის, შვილობილი საწარმოს მეშვეობით ან სხვაგვარად) ტოლია და/ან აღემატება 35%-ს.<sup>12</sup>


2000 წლის 30 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 426-ის თანახმად დამტკიცდა საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის ამოქმედება. განისაზღვრა ძირითადი ტერმინები:

- ✓ „ეკონომიკური აგენტი (მეწარმე სუბიექტი)–ურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და საქმიანობის ხასიათისა.
- ✓ საქონელი – პროდუქცია, სამუშაო, მომსახურება.
- ✓ ურთიერთშენაცვლებადი საქონელი–საქონელთა ჯგუფი, რომლებიც ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, ხარისხის, ტექნიკური მახასიათებლების, ფასის ან სხვა პარამეტრების მიხედვით იმდენად მსგავსია, რომ მყიდველი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი საქონელი მეორით მოხმარების (მათ შორის საწარმოო) პროცესში.
- ✓ კონკურენცია – ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების მეტოქეობა, რის პროცესშიც თითოეული მათგანის მოქმედება ზღუდავს მეტოქის შესაძლებლობას მოიპოვოს უპირატესობა ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას. კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთდროულად გამოდის რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, ხდება ურთიერთშენაცვლებადი საქონლის მიწოდება და მოხმარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფასის, ხარისხის, შეფუთვის, სერვისისა და სხვა ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

---

<sup>12</sup> 2000 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ბრძანება №8/42 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1347212?publication=0> გადამოწმებულია 13.05.2019

## კონკურენციის სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა



- ✓ მონოპოლიური მდგომარეობა – ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია.
- ✓ მონოპოლიური საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურიერთშენაცვლებადი (კონკურენტული) საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია.<sup>13</sup>

ვარდების რეგულაციის შემდეგ საქართველოში ლიბერალურმა რეფორმებმა შეიწირა ანტიმონოპოლიური სამსახური და მისი ჩანაცვლება მოხდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოთი, რომლის საქმიანობაც ფაქტობრივად ანალიტიკური ფუნქციებით შემოიფარგლებოდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის

<sup>13</sup> 2000 წლის 30 სექტემბერი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 426 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1253516?publication=0> გადამოწმებულია 14.05.2019

შემდეგ, 2014 წლის მარტში გახორციელებულ იქნა ცვლილებები კანონში „კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა ახალი სამსახური, კონკურენციის სააგენტოს სახით. „ევროკავშირის დონეზე ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეგულირება ხდება ფუნქციების ხელშეკრულების 101-102 მუხლებითა და კონცენტრაციის შესახებ დადგენილებით (2004). რა თქმა უნდა, რელევანტურია და პრაქტიკაში ხშირად დიდი როლი აკისრია ევროკომისიის გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს. რაც შეეხება ქართულ კანონს, მისი უკანასკნელი ვერსია ნამდვილად უახლოვდება ევროპული სტრანდარტების ძირითად პრინციპებს. იგი ითვალისწინებს როგორც კარტელურ ხელშეკრულებების, ასევე დომინირებული მდგომარეობისა და კონცენტრაციის აკრძალვას. გარდა ამისა კანონი აკონკრეტებს გამონაკლისებს აკრძალვებიდან და განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს შესაბაისი ეკონომიკურ ურთიერთობებში. კანონი სულ ექვსი თავისგან და 35 მუხლისგან შედგება. რაც დილექტანტ დამკვირვებელსაც კი გაუღვიძებს კითხვას-არის კი საკმარისი ამ მასშტაბის რეგულაცია იმ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად, რომლის მოწესრიგებასაც კანონი მიზნად ისახავს?“<sup>14</sup>

### 1.3. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა

„ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემუშავება და გატარება თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ახასიათებს არა მარტო იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ, არამედ მათაც (მათ შორის საქართველოს), რომლებიც დღეისათვის აშენებენ ასეთ ეკონომიკას. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განმარტება აუცილებელია იმის გამო, რომ მონოპოლიების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შედეგად საზოგადოება განიცდის ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს,

---

<sup>14</sup> სერგია ნ. ანტიმონოპოლიური სამართალი და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. #3 გვ. 2013 წელი. 74-79.

ფერხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი. ეს დანაკარგები გამოიხატება მომხმარებლის მიერ მოხმარებულ საქონელზე მაღალი (მონოპოლისტური) ფასების გადახდით; მონოპოლისტების მიერ საქონელზე მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით, ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვების შეზღუდვით ან შეჩერებით, ამავე მიზნებისთვის ზოგიერთი სახის საქონლის იმპორტის შეჩერებით ან შეზღუდვით; მცირე საწარმოების ხელოვნურად გაკოტრებით, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებასა და საზოგადოების სოციალური ფენის გაუარესებას.<sup>15</sup>

კონკურენციის ფენომენი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, ერთის მხრივ იგი:

- აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ზრდის წარმოების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას;
- ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას; აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და აუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს;
- სრულყოფს მომხმარებელთა მომსახურებას და ა. შ.

„ცივილიზებული სახელმწიფო, როგორც მთელი საზოგადოების ინტერესების დამცველი, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკით ცდილობს მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვას, რაც პირველ რიგში აისახება მის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნაში. უფრო სრულად რომ განვსაზღვროთ, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, მიმართულს მონოპოლისტური საქმიანობის შეზღუდვისა და აკრძალვისაკენ, რაც გულისხმობს ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის ერთიან კონკურენციული გარემოს შექმნას.“<sup>16</sup>

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური რეგულირება მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას, ესენია:

---

<sup>15</sup> სოხაძე ვ. ფარესიშვილი ზ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შინაარსი და სახეები. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. სექტემბერ-ნოემბერი #4-5. 2013 წელი. გვ. 34-36

<sup>16</sup> გ.ბენაშვილი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. საქართველოს კონკურენციის სააგენტო. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია-კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. 17-18 ნოემბერი 2017 წელი. გვ.50

- ✓ სპეციალური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება და მიღება;
- ✓ იმ ორგანოების ფორმირება, რომლებიც განახორციელებენ ანტიმონოპოლიურ რეგულირებასა და გააკონტროლებენ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვას.

ანიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებელია მონოპოლიური საქმიანობის ფორმირებისა და ბაზრების მონოპოლიზაციის კრიტერიუმების განსაზღვრა. „აღნიშნულთა შორის შეიძლება გამოვყოთ ბაზრების საზღვრების კატეგორიები: სასაქონლო, რომელიც შედგება ურთიერთშემცვლელი საქონლის ჩამონთვლისგან და რომლის მიზანია მოხმარების კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ურთიერთშემცვლელობა განისაზღვრება თვითნებ მოხმარებლების მიერ. გეოგრაფიული, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა საქონლის გეოგრაფიულ ზონას. აშშ-ის ანტიმონოპოლიურ პრაქტიკაში ეს ზონები განისაზღვრება მოხმარებლების ეკონომიკური შესაძლებლობებიდან, საქონელი შეიძინოს შესაბამის ტერიტორიებზე და აღნიშნულის შეუძლებლობა ამ ტერიტორიების გარეთ. ამასთან, აშშ-ში შეფასების კრიტერიუმებად გამოდის ამა თუ იმ საქონლის ან მისი შემცვლელის შეძენაზე დანახარჯების ზრდა, მისი ღირებულების არა უმეტეს 5 %-ის ოდენობით.“<sup>17</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო ინსტიტუციები, ამ პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში განვითარებული ქვეყნების პრეცედენტული სამართლის ნორმების გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. „მხოლოდ ერთხელ (2001 წლის მეორე ნახევარი) ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განვითარებული ქვეყნების იურიდიული პრეცედენტის გამოყენებას. კერძოდ, ევროსასამართლოს მიერ 1978 წელს (საქმე ECR

---

<sup>17</sup> სოხაძე ვ. ფარესიშვილი ზ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შინაარსი და სახეები. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. სექტემბერ-ნოემბერი #4-5. 2013 წელი. გვ. 34-36

207) მიღებული დადგენილების თანახმად, ბანანის ბაზარი გამოყოფილ იქნა სხვა ახალი ხილის ბაზრისაგან, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მომხმარებელთა ფართო წრე ჩვილი ბავშვებისა და მოხუცების სახით, რომლებიც ბანანის გარდა სხვა ახალ ხილს ვერ მოიხმარდნენ. სწორედ, ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ და სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში ბანანის ბაზარი განხილულ იქნა სხვა ხილის ბაზრისგან განცალკევებულად.<sup>18</sup> ბაზარზე კონკრეტული გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში გამოვლენილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები (შ.პ.ს. „აგროტექნიკი“ და „სოტოები ენტერპრაიზ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლობა), რომლებიც სამსახურის უფროსის 2001 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით (დადგენილი წესის თანახმად) დაექვემდებარნენ ანტიმონოპოლიურ ზედამხედველობას და კონტროლს.

თუთქმის ყველა ეკონომიკური ექსპერტი თახმდება იმ მოსაზრებაზე, რომ, ამ პერიოდის ქართულ სინამდვილეში ბაზარზე იყო თავისუფალი კონკურენციის პრობლემა. კონკურენცია მთელ რიგ სექტორებში იყო შეზღუდული, არსებობდა პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კომპანიები, კარტელური გარიგებები, კორუფციული სქემები, რომლებიც სამსახურების არასრულფასოვან საქმიანობას უკავშირდებოდა. „2005 – 2013 წლებში საქართველოში აღარ არსებობდა ანტიმონოპოლიური სამსახური, თუმცა მონოპოლიებისა და კარტელური გარიგების პრობლემა კვლავ აქტუალური დარჩა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონოპოლია და ბაზარზე კომპანიის დომინანტური მდგომარეობა პრობლემად მაშინ იქცევა, როდესაც კომპანიას აქვს ლეგალური (კანონმდებლობის დონეზე) ან „არაფორმალური“ მხარდაჭერა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისგან. საქართველოში არსებულ ყველა „კეისში“ სწორედ ეს საკითხი დომინირებს. პრობლემის წყარო ორია:

---

<sup>18</sup> გოგიაშვილი შ. ფეტელავა ს. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის. ჟურნალი-ეკონომისტი. დეკემბერი. #6. 2013 წელი. გვ. 25-34



1. გამიზნული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული კომპანიის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენებას და მისი დომინირების მხარდაჭერას ბაზარზე და

2. ზედა და ქვედა რგოლის გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო მოხელეები, რომელთა მიერ მომზადებული ცვლილებები აძლიერებს რეგულაციებსა და კონტროლს. ცვლილებას აქვს კეთილშობილური მიზანი (მაგ. მომხმარებლის დაცვა, ან მისი კეთილდღეობის გაუმჯობესება), მაგრამ მათ არა აქვთ გაცნობიერებული, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის რეალიზაციას პრაქტიკაში კონკურენციაზე უარყოფითი გავლენის კუთხით.<sup>19</sup>

ანტიმონოპოლიური რეგულირების ქართულ პოლიტიკაში ნამდვილად სამარცხვინო ლაქად რჩება ერთ-ერთი რადიკალური რეფორმა, რომელიც მოხდა 2005 წელს და ამ რეფორმით ნაცვლად ძლიერი ადმინისტრაციული ფუნქციებით აღჭურვილი ანტიმონოპოლიური სამსახურისა, 2005-2013 წლებში ეს სამსახური სიმბოლური დატვირთვის მქონე უწყებად გარდაიქმნა. მისი ტრანსფორმაციის შემდეგ, შედეგის თვალსაზრისით, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. აქედან გამომდინარე, ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენად „მკაცრი“ ან „რბილი“ უფლებებით იქნება აღჭურვილი ეს სამსახური, არამედ იმაზე, რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა, რამდენად გამოხატულია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ამ სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმი. პოლიტიკური ნება რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ეს განვილილმა წლებმაც გვიჩვენა. მონოპოლია და ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა პრობლემად მაშინ იქცევა, როდესაც კომპანიას აქვს ლეგალური ან არაფორმალური მხარდაჭერა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისაგან, რაც ასე კარგად გვახსოვს ჩვენი უახლესი პოლიტიკური ისტორიიდან.

---

<sup>19</sup> როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ჟურნალი „Forbes Georgia“ 2014 თებერვალი №27 გვ 20-23

„კონკურენციის შესახებ უცხოეთის ქვეყნების კანონდებლობათა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორი ფორმა, რომელთაგან:

- ✓ პირველი ემყარება ბაზარზე არსებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობების კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) რეგულირებაზე დაქვემდებარების პრინციპს. ამის მაგალითს წარმოადგენს, აშშ-ში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, რომელიც წარმოაჩენს აშშ-ში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის თავისებურებებს, რომელთაგან უმთავრესია ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ხარისხი.
- ✓ საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მეორე ფორმა პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების მოდელის მიხედვით ხდება კანონების მიღება, კონკრეტული სახის რეგულირების სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, „ინვესტიციების შესახებ“ კანადის 1986 წლის კანონი, რომელიც წარმოადგენს ანტიმონოპოლიურ კანონს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში, იმეორებს სამართლებრივი რეგულირების სტრუქტურას და მეთოდს, რომლებიც დამახასიათებელია ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის, მაგრამ მისაღებია მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობისათვის.“<sup>20</sup>

არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზების ორი მიმართულება: ადმინისტრაციული, რომელიც მოქმედებს გერმანიშია, საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში და სასამართლოს მიერ განხორციელებული, რომლებიც მოქმედებს აშშ-ში, დიდი ბრიტანეთში, შვედეთში, ესპანეთში და ა.შ. „ადმინისტრაციული ორგანოები იხილავენ საჩივრებს და დამრღვევ

---

<sup>20</sup> გოგიაშვილი შ. ფეტელავა ს. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის. ჟურნალი-ეკონომისტი. დეკემბერი. #6. 2013 წელი. გვ. 25-34

მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღძრავენ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განახორციელონ მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად. შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება ნებაყოფლობით, მაშინ მის დაცვას უზრუნველყოფენ ისეთი იძულებითი პროცესუალური ნორმები, როდესაც შეიძლება განეკუთვნებოდნენ როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს.<sup>21</sup>

ევროკავშირის ექსპერტთა დაჟინებული თხოვნით უკვე 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელი იურიდიული კანონმდებლობა. სამწუხაროდ იურისტების მხრიდან ამ კანონის მიმართაც არსებობს პრეტენზიები. ასევე სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სანქციებს სარეკლამო საქმიანობის რეგულირებისა და ფალსიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა გამოსულია ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანოს - სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენციიდან და სხვა სახელმწიფო ორგანოთა რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

---

<sup>21</sup> გოგიაშვილი შ. ფეტელავა ს. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის. ჟურნალი-ეკონომისტი. დეკემბერი. #6. 2013 წელი. გვ. 25-34

## თავი II

### საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის რეგულირების პრობლემები და პერსპექტივები

#### 2.1. ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობის ეფექტიანობა- ხელისუფლების პოლიტიკური ნება

2010 წელს საქართველოს მთავრობამ ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“ შეიმუშავა. ამას საფუძვლად ედო 2008 წელს საქართველოში ევროკომისიის ფაქტების დამდგენელი კომისიის ვიზიტი და მათი რეკომენდაციები. სტრატეგიის შემუშავას მოჰყვა 2011 წლის დეკემბერში, კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოების ერთ სამსახურად გაერთიანება. 2012 წლის მაისში კი საქართველოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.

„ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას განსაზღვრავს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. ამის გარეშე ძნელია, რომ ბაზარზე იყოს კონკურენცია და ჩინოვნიკების მხრიდან ლობირებამ ამა თუ იმ კომპანიის ინტერესების დასაცავად არ გამოიწვიოს ბაზრის დეფორმირება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური ნება არის ის შემაკავებელი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ შექმნან ბაზარზე პრივილეგიურობისა და არაპრივილეგიურობის პირობები. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ოქროს შუალედი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი რეგულაციების გამკაცრების მიმართულებით, ასევე ზედმეტი ლიბერალიზაციის კუთხითაც. ერთსაც და მეორესაც შეუძლია გავლენა მოახდინოს კონკურენციის ხარისხზე.“<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> პავლიაშვილი ს. ჯანგულაშვილი ლ. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ 2014 №2 (10) გვ 12-20

მეცნიერთა ექსპერტთა შორის დღესაც კამათის საგანია თუ როგორი უნდა იყოს ანტიმონოპოლიური სამსახური? უნდა დაარეგულიროს კომპანიის ქცევა ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იყოს უზრუნველყოფილი თუ უნდა იყოს დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანო.

„მოსაზრება, რომ კონკურენციული კანონმდებლობა ბიზნესის დამაბრკოლებელი მოვლენა იქნება მცდარია. კონკურენციული კანონმდებლობის არსი, ნებისმიერ ქვეყანაში ანტიკონკურენტული ქმედების დაუშვებლობას გულისხმობს. შეიძლება ეს ხდებოდეს როგორც მთავრობების, ასევე კერძო ბიზნესების მხრიდან, მაგალითად როგორცაა კარტელური გარიგებები. კონკურენციული კანონის მიზანია კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა მიუხედავად იმისა, ვისი მხრიდან იქნება ეს განხორციელებული. არც ერთი ნორმალური კანონმდებლობა მონოპოლიურ მდგომარეობას არ კრძალავს, რომელიც შეიძლება წარმატებული სტრატეგიით მოიპოვო. უბრალოდ არის გარკვეული ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც გარკვეული მონიტორინგის ქვეშ ექცევა.“<sup>23</sup>

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა რა თქმა უნდა უნდა დაარეგულიროს კომპანიის ქცევა ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იყოს უზრუნველყოფილი, მაგრამ ამავე დროს უნდა დააწესოს: სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის ტოლფასად;

„მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს, მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს. მონოპოლიური ფასის დასადგენად, სააგენტომ პირველ რიგში უნდა შეისწავლოს საბაზრო მოთხოვნა, ანუ, ამა თუ იმ ფასის პირობებში რა რაოდენობის პროდუქტი გაიყიდება. ამის შემდეგ, სააგენტომ უნდა მახერხოს ინფორმაციის მოძიება კომპანიის

---

<sup>23</sup> სოხაძე ვ. ფარესიშვილი ზ. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შინაარსი და სახეები. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. სექტემბერ-ნოემბერი #4-5. 2013 წელი. გვ. 34-36

დანახარჯებსა და შემოსავლებზე, რის საფუძველზეც უნდა გამოთვალოს ამ კომპანიის ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების მნიშვნელობები. უნდა იანგარიშოს, თუ პროდუქციის რა მოცულობის გაყიდვისათვის უტოლდება კომპანიის ზღვრული დანახარჯები და ზღვრული შემოსავლები ერთმანეთს და ამის საფუძველზე დაადგინოს შეზღუდული მოთხოვნის რაოდენობის შესაბამისობა მოთხოვნის ფასთან. მიღებული შედეგი უნდა შეადაროს საბაზრო ფასს და თუ დაემთხვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ საბაზრო ფასი სინამდვილეში არის მონოპოლისტური.“<sup>24</sup>

2014 წელს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანია „ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კერძოდ, ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტებისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა და სხვ. კონკურენციის სააგენტოს დებულებასა და სამოქმედო გეგმებში ძალიან კარგადაა ჩამოყალიბებული ძირითადი ამოცანები და მმართველები, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე სახეზეა მონოპოლიზაციის შედეგებით გამოწვეული მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევები, განსაკუთრებით გამოვყოფდით ფარმაცევტულ ბაზარს, რომელსაცა ბაზრის მკვლევარები სუსტ „ოლიგოპოლიასკვ უწოდებენ; მომხმარებლის დისკრიმინაციას იწვევს ისევ და ისევ სამედიცინო სფეროში არსებული ჯაჭვი, როცა სამედიცინო კლინიკა, ფარმაცევტული კომპანია, სადაზღვევო კომპანია პირდაპირ, თუ ირიბად ერთი და იმავე ეკონომიკური აგენტის

---

<sup>24</sup> პავლიაშვილი ს. ჯანგულაშვილი ლ. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ 2014 №2 (10) გვ 12-20

საკუთრებაა. რთის მხრივ, კონკურენციის სააგენტო სწავლობს ფაქტებს, იკვლევს, გამოაქვს დასკვნები, მაგრამ ხდება თუ არა მისი აღსრულება ეს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა. სწორედ ამიტომ საჭიროა ადმინისტრაციული ბერკეტების გაძლიერება. არც ერთი ეკონომიკური აგენტის ინტერესი არ უნდა იყოს პრიორიტეტული.“<sup>25</sup>

კონკურენციის სააგენტო შეიქმნა იმისათვის, რომ:

- ✓ განხორციელდეს ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა;
- ✓ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად;
- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- ✓ თავისუფალი კონკურენციის მარეგულირებელი კანონდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დროული და სათანადო რეაგირებისათვის;

„საქართველოს კანონმდებლობაში ხდება აშშ\_სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის თანამშრომლობის პროგრამის (Leniency Program) შემოღება და დანერგვა. პროგრამა გულისხმობს ეკონომიკური აგენტის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ იგი ანტიკონკურენტული ქმედების მოკვლევის პროცესში ითანამშრომლებს სააგენტოსთან. თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ. მკვეთრად გაიმიჯნა სააგენტოსა და მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები. აიკრძალა სახელმწიფოს ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას. იზრდება კონკურენციის პოლიტიკის რაოდენობა და სააგენტოს

---

<sup>25</sup> მაქაცარია ნ. ნარსია ლ. კონკურენციის პოლიტიკა და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 150-158

ქმედითობა კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებების კონტროლის წინაშეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის ღიაობა და გამჭვირვალობა, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცულ იქნეს თანასწორუფლებიანობის პრინციპი და ხელისუფლების ორგანო არ აწესებდეს ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და დისრიმინაციულ ბარიერებს და არამართლზომიერად არ ზღუდავდეს კონკურენციას.<sup>26</sup>

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაზუსტდა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

- ✓ შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილი;
- ✓ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობა;
- ✓ ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები;
- ✓ მყიდველის საბაზრო ძალაუფლება;
- ✓ საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

კანონპროექტში მოცემულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევების ჩამონათვალი. ასევე კანონით განისაზღვა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შემთხვევები:

- ✓ იგი გულისხმობს ეკონომიკური აგენტების შერწყმას;
- ✓ ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას;

კონცენტრაციად ითვლება ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობაც. გარდა ამისა, კანონპროექტით რეგლამენტირებულია შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ეკონომიკური აგენტის

---

<sup>26</sup> პავლიაშვილი ს. ჯანგულაშვილი ლ. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ 2014 №2 (10) გვ 12-20



მიერ სააგენტოსათვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნა, ასევე ვალდებულებებისგან გათავისუფლების შემთხვევები;

„კანონი ითვალისწინებს მეორეული კანონმდებლობის (სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა, მოკვლევის მეთოდოლოგია და სხვ.) 2014 წლის 1 ოქტომბრამდე შემუშავებას და დამტკიცებას. აუცილებელია ისეთი ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობისა და კონკურენციის ჩამოყალიბება-განვითარებას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამისათვის უნდა შემუშავდეს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკის ახალი სამოქმედო პროგრამა, რომლის საშუალებით საქართველოს მთავრობამ უნდა მოიყვანოს კანონმდებლობა და ინსტიტუტები საუკეთესო საერთაშორისო პოლიტიკასთან შესაბამისობაში. ამისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს ევროპის კავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (TFEU), კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის რეგულირების ანტიმონოპოლიური წესების დარღვევისა და ზიანის შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის შეფასების ინსტრუმენტი, სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, კონკურენციის კანონმდებლობა და საუკეთესო პრაქტიკა.“<sup>27</sup>

ანტიმონოპოლიური რეგულირების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ✓ თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა;
- ✓ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ეფექტური ბაზრების მეშვეობით;
- ✓ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან;

---

<sup>27</sup> პავლიაშვილი ს. ჯანგულაშვილი ლ. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ 2014 №2 (10) გვ 12-20

- ✓ სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზრის შექმნა ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ✓ კონკურენციის ჩარჩო კანონის გავრცელება ეკონომიკის ყველა სექტორზე;
- ✓ კონკურენციის ჩარჩო კანონით ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედებების საწინააღმდეგო ზომების განსაზღვრა;
- ✓ კონკურენციის ჩარჩო კანონით გამონაკლისთა ჯგუფის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- ✓ კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- ✓ კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებისმიერი ჩარევის დაუშვებლობა;
- ✓ კონკურენციის სააგენტოსათვის საქმის შესწავლის უფლებამოსილების მინიჭება;
- ✓ კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების მექანიზმების შემოღება;
- ✓ კონკურენციის ჩარჩო-კანონისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციისათვის ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- ✓ თანმიმდევრული იმპლემენტაცია სამოქმედო პროგრამის შესაბამისად.

„კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური რეფორმა იყო ახალი მთავრობის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი. მთავრობამ უნდა ითამაშოს პოლიტიკური „ქოლგის“ როლი და დაიცვას იგი გარე ჩარევებისაგან. ამასთან, თავადაც უნდა გაუძლოს ცდუნებას, არ იქნეს გამოყენებული იგი მისთვის უცხო მიზნებისათვის ან პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და კონიუნქტურის შესაბამისად. სწორად თუ იქნება უზრუნველყოფილი კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა და ადეკვატური უფლებამოსილების უზრუნველყოფა, სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების გაძლიერება და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება გამჭირვალობისა

და ეფექტიანობის ამაღლების გზით, მით უფრო ეფექტიანი იქნება მისი საქმიანობის შედეგები.“<sup>28</sup>

## 2.2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა დაფუძნების პირველ წლებში

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა კონკურენციის სააგენტოს, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულება. „მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სააგენტოს საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს - კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის პირობების შექმნა და დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებებისა და ქმედებების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. თავის მხრივ, ნორმატიული აქტების მომზადების პროცესში კონკურენციის სააგენტოს აქტიური საკონსულტაციო შეხვედრები ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან. პროექტები შეთანხმდა:

- ✓ საქართველოს სამინისტროებთან;
- ✓ ეკონომიკურ საბჭოსთან;
- ✓ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან;
- ✓ ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან (მოხდა მათი რეკომენდაციების მაქსიმალური გათვალისწინება).“<sup>29</sup>

<sup>28</sup> მაქაცარია ნ. ნარსია ლ. კონკურენციის პოლიტიკა და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში. კონკურენციის სააგენტოს მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 17-18 ნოემბერი, 2017 წელი. გვ. 150-158

<sup>29</sup> კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში.

[http://competition.ge/images/upload/konkurencia\\_angarishi\\_2014.pdf](http://competition.ge/images/upload/konkurencia_angarishi_2014.pdf) გადამოწმებულია 14.05.2109


2014 წლის 12 ნოემბერს კონკურენციის სააგენტომ **ნავთობპროდუქტების ბაზრის** (ბენზინი, დიზელი ნავთი) მოკვლევა დაიწყო საკუთარი ინიციატივით. „ამისათვის გამოთხოვილ იქნა და დამუშავდა 2008-2014 წლების ინფორმაცია ნავთობ პროდუქტების სფეროში მოქმედი 300-ზე მეტი ეკონომიკური აგენტისგან, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა სტრუქტურებისგან. მოკვლევის ფარგლებში, გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია სსიპ-შემოსავლების სამსახურისგან, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისგან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, მეზობელი სახელმწიფოებიდან და სხვა უწყებებიდან;“<sup>30</sup>

მოკვლევის პროცესში ნავთობპროდუქტების ბაზრიდან გამოიყო ორი შესაბამისი ბაზარი: საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზარი და საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარი. **საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზრის შესწავლის შემდეგ დადგინდა:** „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (შეთანხმებული ქმედება) "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების დარღვევა. დაკისრებულ იქნა სანქციები: შპს "ლუკოილჯორჯია"-ს, სს "ვისოლპეტროლიუმჯორჯია"-ს, შპს "რომპეტროლ საქართველო"-ს, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ს, შპს "სანპეტროლიუმ ჯორჯია"-ს, შპს "ბინული1"-ს, შპს "ითიაი"-ს და შპს "Lოილ"-ს დაეკისრათ ჯარიმა-ჯამში 54 698 329 ლარის ოდენობით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის დარღვევისთვის შპს "ლუკოილ ჯორჯია"-სა და შპს "რომპეტროლ საქართველო"-ს თანფრენშიაზინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად მომუშავე 22 ეკონომიკურ აგენტს დაეკისრათ ჯარიმა 200 ლარის ოდენობით. რაც შეეხება **საავიაციო ნავთის სასაქონლო ბაზარს**, სააგენტოს კვლევის შედეგად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს (საქართველოს მთავრობას და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს) და შესაბამის ეკონომიკური აგენტებს წარედგინათ რეკომენდაციები შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

---

<sup>30</sup> იგივე

## 2015 წლის განმავლობაში შემოსული განცხადება/საჩივრის რაოდენობა - 10



- განცხადება/საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის რაოდენობა - 5
- განცხადება/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის რაოდენობა - 0
- განცხადება/საჩივრის დაშვებადობაზე გადაწყვეტილების მიღება გასცდა საანგარიშო პერიოდს - 1
- კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად მარეგულირებელ ორგანოებში გადაგზავნილი განცხადება/საჩივრის რაოდენობა - 5

ამავე პერიოდში საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაიწყო „წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის ბაზრის მოკვლევა სს „ჯანმრთელობა“-ს განცხადების-საფუძველზე 2014 წლის 12 დეკემბერს დაიწყო საქმის მოკვლევა-სს „ბალნეოსერვისი“-ს (წყალტუბოს თერმული წყლების მოპოვებაზე 25 წლიანი ლიცენზიის მქონე კომპანიის) მიერ წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების სავარაუდო მონოპოლიზაციის ფაქტზე. განმცხადებლის პოზიციით, დარღვევა გამოიხატება სს „ბალნეოსერვისი“-ს მიერ აუთვისებელი წყლის რესურსის კონკურენტი კომპანიისათვის გადაცემა ზეუარის თქმაში.“<sup>31</sup> მოკვლევა დასრულდა 2015 წელს (2015 წლის 4 მარტის №31 ბრძანება) შემდეგი გადაწყვეტილებით: არ დადასტურდა სს „ბალნეოსერვისი“-ს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს

<sup>31</sup> კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში.

[http://competition.ge/images/upload/konkurencia\\_angarishi\\_2014.pdf](http://competition.ge/images/upload/konkurencia_angarishi_2014.pdf) გადამოწმებულია 14.05.2109



კანონის მე-6 მუხლის დარღვევა, რეკომენდაციები წარედგინა ლიცენზიის მფლობელ ეკონომიკურ აგენტს-სს „ბალნეოსერვის“-ს და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ „შპს „ჯორჯიანტრანსექსპედიცია-ფოთი“-ს საჩივრის საფუძველზე დაიწყო საქმის მოკვლევა-სსიპ-შემოსავლების სამსახურის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. განმცხადებლის პოზიციით, დარღვევა გამოიხატა შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ინლენდკონტეინერტერმინალი“-სათვის მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების ხელის შეწყობასა და შპს „ჯორჯიანტრანსექსპედიცია-ფოთი“-ს საქმიანობის ხელის შეშლაში.“<sup>32</sup> მოკვლევა დასრულდა 2015 წელს (2015 წლის 30 მარტის №40 ბრძანება). დავის საგანი იყო შემოსავლების სამსახურის მიერ ქ.ფოთში საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა. დადგინდა:

<sup>32</sup> კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში.  
[http://competition.ge/images/upload/konkurencia\\_angarishi\\_2014.pdf](http://competition.ge/images/upload/konkurencia_angarishi_2014.pdf) გადამოწმებულია 14.05.2109

„სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან განმცხადებლის მიმართ კონკურენციის შემზღვეველი ქმედების განხორციელების ფაქტი, კერძოდ:

- ✓ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა: შპს „ჯორჯიანტრანსექსპედიცია-ფოთი“-ს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის ხელის შეშლა;
- ✓ კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა: საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე უპირატესობის მინიჭება და მონოპოლიური მდგომარეობის შექმნა შპს „ინლენდკონტეინერთერმინალი“-სთვის.<sup>33</sup>

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: შემოსავლების სამსახურს დაევალა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტის აღმოფხვრა და ეკონომიკური აგენტებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. შემოსავლების სამსახურის მიერ კონკურენციის სააგენტოსათვის გონივრულ ვადაში უნდა მოხდეს გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

2014 წლის 12 დეკემბრიდან საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიმდინარეობს საქმის მოკვლევა „საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგრო“-ს განცხადების საფუძველზე კომპანია „კარატპოლდინგი“-ს მიერ საქართველოში შესყიდული 3 კომპანიის (შპს „აგროსისტემები“, შპს „კარმენი“ და შპს „კარმენი K) მხრიდან ხორბლისა და ფქვილის ბაზრის მონოპოლიზაციის ფაქტზე.“<sup>34</sup> მოკვლევა დასრულდა 2015 წელს (2015 წლის 21 ოქტომბრის №155 ბრძანება), კვლევის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: არ გამოიკვეთა შპს „აგროსისტემები“-ს, შპს „კარმენი“-ს, შპს

<sup>33</sup> სსიპ კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის 2015 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/2015%20წლის%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

<sup>34</sup> იგივე

„კარმენ K“-ს ცალსახა კონკურენტული უპირატესობა სხვა ძირითად კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ნიშნები და წინაპირობები.საქართველოს მთავრობას წარედგინა რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით.

2014 წლის 24 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიმდინარეობს საქმის მოკვლევა „შპს „ჯორჯიანტრანსექსპედიცია“-ს საჩივრის საფუძველზე დაიწყო საქმის მოკვლევა-სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიის-შპს"ტრანსკავკასუსტერმინალსი“-ს მიერ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.“<sup>35</sup>

„2014 წლის ნოემბრიდან სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო ყავის ბაზრის მონიტორინგი. შემოსავლების სამსახურიდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყავის ბაზარზე მოქმედებს ათეულობით კომპანია, რომელთაგან 10%-ზე მეტი წილი თითქმის არცერთ კომპანიას არ გააჩნია. დაბალია ასევე ამ ბაზარზე კონცენტრაციის დონე, რაც, წინასწარი ვარაუდით, უნდა მიანიშნებდეს, რომკონკურენციის კუთხით ბაზარზე პრობლემა არ არსებობს.“<sup>36</sup> ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი საქართველოს კონკურენციის სააგენტომ 2015 წელს დაასრულა. ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონკურენციის სააგენტომ განსაზღვრა ყავის ორი ძირითადი ბაზარი-ნალექიანი და ხსნადი ყავის ბაზრები. სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე 2008 წლიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით არსებული მდგომარეობა. შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ყავის (ხსნადი/ნალექიანი) სასაქონლო ბაზრებზე დამაკმაყოფილებელი კონკურენტული გარემო იყო (ნალექიანი ყავის ბაზარი-დაბალკონცენტრირებული, ხსნადი ყავის ბაზარი-ზომიერად კონცენტრირებული). შესაბამის ბაზარზე

<sup>35</sup> იგივე

<sup>36</sup> კონკურენციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში.

[http://competition.ge/images/upload/konkurencia\\_angarishi\\_2014.pdf](http://competition.ge/images/upload/konkurencia_angarishi_2014.pdf) გადამოწმებულია 14.05.2109



კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით სააგენტომ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს რეკომენდაციები წარუდგინა.

2015 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ:

- ✓ დაასრულა 2014 წელს დაწყებული ყავის სასაქონლო ბაზრის მონიტორინგი;
- ✓ განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი და ერთი განცხადება უკვე განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ;
- ✓ დაიწყო სახელმწიფო დახმარების გაცემის შესახებ წარმოდგენილი

### 2015 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი იქნა კონცენტრაციის შესახებ ოთხი შეტყობინება/განცხადება:

შპს „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტ გრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის შესახებ

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „დეკა“-ს 95%-იანი წილის შეძენის შესახებ

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს მიერ შპს „გნ კო“-ს 50%-იანი წილის შეძენის შესახებ

ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი“-ს განცხადება შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ შპს „ნუგეში“-ს 100%-იანი წილის შეძენის კანონიერებისა და საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

განცხადების განხილვა;

✓ დამტკიცდა „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები“; რაც შეეხება ფირმების კონცენტრაციის (გამსხვილების) პრობლემებს. 2015 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი იქნა კონცენტრაციის შესახებ ოთხიშეტყობინება, მათ შორის ერთ-ერთი შეეხებოდა შპს „ჰაიდელბერგბეტონჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტგრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენას. „ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2014 წელს და 2015 წლის მაისის ჩათვლით, ბეტონის სასაქონლო ბაზარი ზომიერად კონცენტრირებული იყო. შერწყმის შედეგად, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა შეინარჩუნა ზომიერი სიდიდე. იმის და სადგენად, შერწყმაზე ზღუდავდა თუ არა ეფექტიან კონკურენციას, წილობრივი და ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლების გარდა, სააგენტომ შეაფასა ბაზრის შედეგიანობა,

როგორც საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგი შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე: პროდუქციის ფასები, მოგების სიდიდე, მიღებული პროდუქციის ხარისხი, წარმოებისა და გაყიდვის ხარჯები, ტექნიკურიპროგრესი. შპს „ჰაიდელბერგბეტონჯორჯია“-ს მიერ შპს „თბილცემენტგრუპი“-ს სასაქონლო ბეტონის წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების (საოპერაციო აქტივების) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.“<sup>37</sup>

---

<sup>37</sup> კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში.

<http://competition.ge/images/upload/2015%20წლის%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

### 2.3. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა 2016-2018 წლები

2016 წლის 28 მარტს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მოკვლევა, შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე, „საჩივარი ეხებოდა მოპასუხე სს „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მფლობელი კომპანიების მიმართ არათანასწორი მოპყრობის სავარაუდო ფაქტს და პროდუქციის მიწოდებაზე ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმების საკითხს. ინფორმაციის გამოთხოვისა და მონაცემთა ანალიზის, ახსნა-განმარტების სხდომების გამართვისა და საერთაშორისო პრაქტიკის დამუშავების გარდა, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ჩანაცვლებადობის დადგენის მიზნით, მოკვლევის ჯგუფის მიერ ჩატარდა ე.წ Duty Free პუნქტების მომხმარებელთა გამოკითხვა. აღნიშნულის საფუძველზე, მოკვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ სიგარეტი „პირველი“ და ზოგადად, ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი არ ქმნის ცალკე ბაზარს და შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა ფილტრიანი სიგარეტის ბაზარი. როგორც გაირკვა, სს „თბილისის თამბაქოს“ წილი შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება დომინირებული მდგომარეობის არსებობის დასადასტურებლად საჭირო მაჩვენებელს და დადგინდა, რომ განსახილველი ქმედების დროს (და არც მის შემდგომ) სს „თბილისის თამბაქოს“ არ გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე. სააგენტოს პოზიციით, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას იმ ეკონომიკური აგენტის მიერ, რომელსაც აღნიშნული დომინირებული მდგომარეობა არ გააჩნია. შესაბამისად, სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი არ დადგინდა.“<sup>38</sup>

---

<sup>38</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

2016 წლის 14 სექტემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაიწყო სამედიცინო მომსახურების სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის მოკვლევა. „სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება სს „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ საჩივართან დაკავშირებით. საკითხი შეეხებოდა შპს „სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 113 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის ფაქტს, კერძოდ, არასწორი ცნობების გავრცელებას მომჩივანის მისამართისა და კოლექტივის ცვლილების შესახებ; ასევე, ადგილი ჰქონდა კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს გამოყენებას, როგორც ლოგოს საქპატენტში რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, მითითება კეთდებოდა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ „90 წლიანი ტრადიციის“ გაგრძელებაზე, იმ პირობებში, როდესაც ინსტიტუტი შეიქმნა 2015 წელს. სააგენტოს პოზიციით, ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობა მომხმარებელს უქმნიდა არასწორ წარმოდგენას მომჩივანი კომპანიის საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, დადგინდა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 113 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს განესაზღვრა ვალდებულება, რომ უზრუნველყო კანონდარღვევის აღმოფხვრა და თავი შეეკავებინა კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით მომჩივანი ორგანიზაციის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისაგან. მოპასუხე სამედიცინო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ შეასრულა სააგენტოს გადაწყვეტილება და გვაცნობა აღნიშნულის თაობაზე.“<sup>39</sup>

2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მოკვლევაზე უარი ეთქვა შემდეგ კომპანიებს:

---

<sup>39</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

2016 წლის თებერვალში მიღებული გადაწყვეტილებით, სააგენტომ უარი თქვა ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მოქმედი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტს. წინასწარი ერთთვიანი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტომ ჩართო განმცხადებელი და დაინტერესებული მხარეები; ასევე, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (რომელთაც განხორციელებული ჰქონდათ კვლევები ფარმაცევტულ სექტორთან მიმართებით) და თავად განმცხადებელთანაც. თუმცა, შეხვედრის მონაწილეებს კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. განმცხადებელი ძირითადად ეყრდნობოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს, რომელიც აღწერდა კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის ხანდაზმულ პერიოდში განხორციელებულ ქმედებებს. ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ევროკავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით, სააგენტომ პირველად განმარტა „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების აუცილებელი საფუძველი და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებდა გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.<sup>40</sup>

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე უარი ეთქვა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმის მოკვლევის დაწყებაზე „რომელიც სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარზე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-10 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს ეხებოდა. კერძოდ, შპს „სტრადა მოტორსსა“ და შპს „ჯი თი მოტორსს“ შორის „კარტელურ გარიგებას“ და სსიპ ცხოველთა

---

<sup>40</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

მონიტორინგის სამსახურის, შპს „საქართველოს ფოსტის“, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის საწინააღმდეგო სატენდერო პირობების დაწესებას. როგორც დადგინდა, მომჩივანი კომპანია რეგისტრირებულია 2016 წლის 20 მაისს, ხოლო მის მიერ სადავოდ გამხდარი ყველა ტენდერი ჩატარებული იყო ამ თარიღამდე. შესაბამისად, მითითებულ ტენდერებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, მომჩივანს ვერ მიაღებოდა ზიანი და მის დაარსებამდე ჩატარებულ ტენდერებთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯია“ ვერ იქნება სათანადო მომჩივანი, რადგან ის არ არის უფლებამოსილი შემოიტანოს სააგენტოში საჩივარი იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რასაც მისთვის უშუალოდ ზიანი არ მიუყენებია. ამასთან, სააგენტოს პოზიციით, მე-10 მუხლთან მიმართებით, მომჩივანი სათანადოდ ვერ ასაბუთებს სატენდერო პირობების არაკონკურენტულობას. ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ შემსყიდველი ორგანიზაციების ტენდერში კონკურენტული გარემოს შექმნის მცდელობას და ასევე, არსებობს სსიპ შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებები ხსენებულ ტენდერებთან მიმართებით.<sup>41</sup>

რაც შეეხება ფირმების კონცენტრაციის (გამსხვილების) პრობლემებს, 2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ და 1 განცხადება სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე. „2016 წლის 7 მარტის ბრძანებით, კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება შპს „ალტასა“ და შპს „ევროტექნიკს ჯორჯიას“ მიერ ერთობლივი საწარმოს-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების გზით

---

<sup>41</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019



განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. დოკუმენტაციის დამუშავებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, სააგენტოს მხრიდან განისაზღვრა. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული საზღვრები და დროითი ჩარჩოები.

გარდა ამისა, დაზუსტდა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, მათი წილობრივი მონაცემები 2014-2015 წლების მიხედვით და დადგინდა ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები სამი ძირითადი ბაზრის მიხედვით: 1. კომპიუტერული და მობილური ელექტროტექნიკის (ე.წ. „შავი ტექნიკა“) ბაზარი; 2. საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ე.წ. „თეთრი ტექნიკა“) ბაზარი; 3. ელექტროტექნიკის მონტაჟთან დაკავშირებული მომსახურების ბაზარი. აღმოჩნდა, რომ ორივე სახის ელექტროტექნიკის იმპორტის ბაზარი იყო დაბალკონცენტრირებული და შესაბამისად, კონცენტრაციაში მონაწილე კომპანიათა წილებიც იყო მცირე. ამ მაჩვენებლებისა და იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კონცენტრაცია ნეგატიურად არ აისახებოდა მომსახურების ფასზე, ხელს შეუწყობდა ქვეყნის მასშტაბით ელექტროტექნიკის სარეალიზაციო ქსელებისა და სარეალიზაციო ასორტიმენტის გაფართოებას, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია.<sup>42</sup>

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ასევე თანხმობა გასცა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა“ და სს „ჯიპისის“ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა „სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ სს „ჯიპისის“ აქციათა

<sup>42</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში. <http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019

100%-ის შეძენას. სააგენტოს გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო მიღებული დოკუმენტაციის დამუშავების, საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის, შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგებზე. როგორც დადგინდა, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის მიზნებისათვის გამოკვეთილი ოთხი ძირითადი ბაზრიდან, სამი ბაზარი (ამბულატორიული მომსახურების, სტაციონარული მომსახურებისა და ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი) დაბალკონცენტრირებული იყო და შესაბამისად, კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებულ კომპანიათა წილებიც არ იყო მაღალი. რაც შეეხება მეოთხე - სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ბაზარს, იგი ზომიერად კონცენტრირებულ ბაზარს წარმოადგენდა, სადაც სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელს“ დომინირებული მდგომარეობა ეკავა. საკითხის შესწავლის შედეგად, სააგენტომ მოსალოდნელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია ოთხივე განხილული ბაზრის მიხედვით. თუმცა, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელს“, როგორც დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტს, სააგენტოში ყოველწლიური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრა.<sup>43</sup>

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის 2017 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ამ წელს „საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი შესრულდა. 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ პირველი ნორმატიული აქტი მიიღო კონკურენციის სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისი დაფუძნებიდან ჯერ მხოლოდ 3 წელს ითვლის. ჩვენი მთავარი მიზნები და გზავნილებია:


---

<sup>43</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2016 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf> გადამოწმებულია 14.05.2019



- ✓ ღია, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ სააგენტოს ცნობადობის და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა;
- ✓ სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, შედეგიანი და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება;
- ✓ საზოგადოებისა და ბიზნესის თვალში ნდობის ამაღლება.<sup>44</sup>

ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში



აღირცხა 1107 შემოსული და 1712 გასული წერილი, განხორციელდა 504 შიდა კორესპონდენცია და გამოცემულ იქნა 364 ბრძანება. საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა. ხსენებული 5 მოკვლევიდან, 1 დაწყებულ იქნა სააგენტოს ინიციატივით, ხოლო 4 - სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე. ერთ-ერთი პირველი სამე გახლდათ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდეგში - ფოთის პორტი) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის

<sup>44</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2017 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf> გადამოწმებულია 15.05.2019

თაობაზე მოკვლევა დაწყებულ იქნა ფოთში მოქმედი 14 სატერმინალო კომპანიის ერთობლივი საჩივრის საფუძველზე. „საჩივარი შეეხებოდა ფოთის პორტის მიერ გამოცემულ, 2016 წლის პირველი ივლისიდან ასამოქმედებელ ბრძანებას, რომელიც გულისხმობდა ფოთის პორტის მხრიდან საზღვაო ტვირთის (კონტეინერის) გემიდან სატრანსპორტო საშუალებაში გადმოტვირთვის, პორტის კუთვნილ ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაწყობების მომსახურებებზე ერთიანი, ინტეგრირებული ტარიფის დაწესებას. საქმის გარემოებების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, სააგენტომ მიიჩნია, რომ ფოთის პორტის მხრიდან დაგეგმილი „ახალი სქემის“ ამოქმედებით შეიზღუდებოდა ნავსადგურიდან გარე ტერმინალებში კონტეინერების სატრანსპორტო გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ბაზრები, ისეთი ფორმით, რომელიც საზიანო იქნებოდა მომხმარებლის ინტერესებისათვის. სააგენტომ იმსჯელა შეზღუდვის გამართლების საკითხებზეც, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების ასპექტში, თუმცა მიიჩნია, რომ ხსენებული ფორმით კონკურენციის შეზღუდვის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები სახეზე არ იყო.“<sup>45</sup>

2017 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დასრულდა მოკვლევა, რომელიც „მიმდინარეობდა შპს „ლიბოს“ საჩივრის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მომჩივანი მიუთითებდა, აუქციონის ჩატარების გარეშე, მისი კონკურენტისათვის ბათუმის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადის გაგრძელებაზე და აღნიშნული ქმედების კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე. კონკურენციის სააგენტომ მოკვლევის პროცესში, მოპასუხე მხარეების, სახელმწიფო უწყებებისა და შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისგან, ყველა საჭირო ინფორმაცია გამოითხოვა. განხორციელდა პროცედურებით

---

<sup>45</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2017 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf> გადამოწმებულია 15.05.2019

დადგენილი ახსნა-განმარტებების მიღება. მოკვლევის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების თაობაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმაც, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველო. შესაბამისი მასალების დამუშავებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სააგენტომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, გაცემულ ნებართვაში ცვლილების შეტანის გზით ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების საშუალებას შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. ამდენად, ხსენებული ქმედება არ მოექცა კონკურენციის კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში და მან გამოიწვია ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის გზით.“<sup>46</sup>

2017 წლის განმავლობაში, სააგენტომ მიიღო 6 გადაწყვეტილება სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. მათ შორის ძალზე საინტერესოა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ განცხადება საქართველოში დამზადებულ სათამაშოებზე ხარისხის შეუსაბამობას ამ თოჯინებზე დატანებულ CE-ნიშანთან. საქმე ეხებოდათ ისეთ ფირმებს, როგორებიცაა შპს „თოი ლენდის“, შპს „ცეროდენას“, შპს „ბანა თოის“, შპს „ოცნების სამყაროს“, შპს „ჰობი მასტერის“. „როგორც აღმოჩნდა, სათამაშოების უსაფრთხოების ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან (2009/48/EN) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 2019 წლისთვისაა გათვალისწინებული. დღეისათვის, არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო სათამაშოების განთავსებას, ბაზრის კონტროლს და ზოგადად, სათამაშოებზე CE ნიშანდებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

---

<sup>46</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2017 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf> გადამოწმებულია 15.05.2019

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ მეწარმეთა ვალდებულებების მარეგულირებელი შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების არარსებობის პირობებში, ვერ იქნება შეფასებული განცხადებაში მოცემული ეკონომიკური აგენტების მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელების საკითხი. შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი.<sup>47</sup>

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 2 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე. „2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა შპს „ალტას“ მიერ შპს „მეტრომარტის“ 50% წილის შეძენას. სააგენტომ, შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაადგინა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები და კონცენტრაციის დონე, რომელიც გამოითვალა საცალო და საბითუმო სფეროს კომპანიათა წლიური ერთობლივი შემოსავლების მიხედვით. საბოლოოდ დადგინდა, რომ შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის დონე მნიშვნელოვნად არ იცვლება და კონცენტრაცია არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას. ამდენად, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ და გასცა შესაბამისი თანხმობა.“<sup>48</sup>


2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სულ აღირიცხა 1175 შემოსული და 1777 გასული წერილი; განხორციელდა 446 შიდა კორესპონდენცია და გამოცემულ იქნა 379 ბრძანება. 2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 სასაქონლო/მომსახურების ბაზრის მოკვლევა, კერძოდ:

---

<sup>47</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სააგენტოს 2017 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf> გადამოწმებულია 15.05.2019

<sup>48</sup> იგივე

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დასრულდა საავტომობილო საწვავის ბაზარზე ჩატარებული ხელახალი მოკვლევა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განხორციელდა. „კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 14 ივლისის ბრძანება და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე დაუბრუნდა სააგენტოს ხელახლა განსახილველად. ხელახალი მოკვლევის შედეგად, სააგენტომ დაადგინა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ




საქართველოს“, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მხრიდან „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. საქმე ეხებოდა ჩამოთვლილი კომპანიების მიერ ბაზრის პროდუქციული ნიშნით გადანაწილებას. კერძოდ: ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი იყვნენ იმპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დონეზე შეთანხმებული პრინციპით-სააგენტოს შეფასებით, კომპანიებს ჰქონდათ შესაძლებლობა, წარმოდგენილი ყოფილიყვნენ

ბაზრის სხვა დონეზეც, მაგრამ ისინი არ უწევდნენ კონკურენციას შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს.<sup>49</sup> სააგენტოს მიერ მიღებულმა აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა გამოიწვია დარგის პსეციალისტებსა და ექსპერტებს შორის. „შესაბამისი კანონის ამოქმედების პერიოდისა და ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით, სააგენტომ დარღვევა დაადგინა 2012 წლის 5 თვიან პერიოდთან მიმართებაში და ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ აგენტებს დააკისრა კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია - ჯამში სამ მილიონამდე ლარის ოდენობით. ამასთან, უცვლელად დარჩა სააგენტოს თავდაპირველი გადაწყვეტილება, ფრენშაიზინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად, ფასების განსაზღვრის საკითხთან მიმართებაში, რომლითაც დადგენილი იყო შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ და მათი პარტნიორი კომპანიების მხრიდან კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ხელახალი გადაწყვეტილება კომპანიების მიერ არ გასაჩივრებულა, შესაბამისად იგი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შევიდა კანონიერ ძალაში და დაკისრებული ჯარიმა სრულად იქნა გადახდილი ბიუჯეტის სასარგებლოდ.“<sup>50</sup>

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო მოკვლევა, საჩივარი შეეხებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარს, რომელზეც წარმოდგენილების იყვნენ კომპანიები: შპს „სტრადა მოტორსი“, შპს „იბერია ავტო“, შპს „ჯი-თი მოტორსის“ და სს „ფრანს ავტო“. „საჩივარში მითითებული იყო კონკრეტული ტენდერები, კერძოდ 58 (ორმოცდათვრამეტი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და 60 (სამოცი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა

<sup>49</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის 2018 წლის ანგარიში.  
<http://competition.ge/images/upload/კონკურენციის%20სააგენტოს%20წლიური%20ანგარიში-ქართული.pdf> გადამოწმებულია 17.05.2019

<sup>50</sup> იგივე.



ერთზე მეტი პრეტენდენტი. სააგენტოს მიერ დამუშავდა ორივე კატეგორიის ტენდერები და მათთან დაკავშირებით მოხდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისაგან ახსნაგანმარტებების მიღება. მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში მიღებული მოცულობითი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, სააგენტომ 2018 წლის 6 ივლისის ბრძანებით დაადგინა, რომ მომჩივანის მიერ მითითებულ სახელმწიფო ტენდერებში არ გამოიკვეთა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან შეთანხმებული, მოჩვენებითი, ფიქტიური კონკურენციის, ან ტენდერების ფარგლებში შეთანხმებული ფასწარმოქმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სააგენტომ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ ორი რეკომენდაცია შეიმუშავა. მიღებული რეკომენდაციები ითვალისწინებს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების მიზნით სატენდერო პირობებისა და ბაზრის კვლევის მეთოდის დანერგვა/სრულყოფას, ასევე საკანონმდებლო წინადადების შემუშავებას, რათა შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალოთ ბაზრის კვლევის დოკუმენტის ატვირთვა ელექტრონულ სისტემაში, ტენდერის გამოცხადებისას.<sup>51</sup>

2018 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 2 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე და ორივე მათგანი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია.

<sup>51</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის 2018 წლის ანგარიში. <http://competition.ge/images/upload/კონკურენციის%20სააგენტოს%20წლიური%20ანგარიში-ქართული.pdf> გადამოწმებულია 17.05.2019

## დასკვნები:

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოში პერმანენტურად იყო მცდელობა ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვებდნენ ბაზარზე მონოპოლიების წარმოქმნას. „მრავალი კანონი და კანონქვემდებარე აქტი იქნა შემუშავებული, რომლებსაც უნდა უზრუნველყო სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბაზარზე დომინანტური პოზიციების მოპოვების პროცესის ანალიზი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მცდელობების გამოვლენა და სამართლიანი კონკურენტული თამაშის წესების დამკვიდრება. სამწუხაროდ, ამის განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

**კვლევის ძირითად შედეგად** ვაჩვენებთ მას, რომ მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს—მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს.

**მიღებული შედეგის თეორიულ მნიშვნელობას** განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალობა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობს მარეგულირებელი სააგენტოების საქმიანობას, თუმცა ის ფირმები, რომელთა ქცევაც უნდა დარეგულირდეს, კარგად ერკვევიან იმაში, თუ რა გავლენას მოახდენს რეგულაციები მათზე. ამიტომ, ასეთი ფირმები ცდილობენ პოლიტიკურ პროცესში ჩართვას, რათა რეგულაციები თავიანთ სასარგებლოდ მოირგონ.

**სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას** განსაზღვრავს ჩვენი მცდელობა მოვახდინოთ ანტიმონოპოლიური კანონის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფა.



პერსპექტიული გამოყენების სფეროდ ვთვლით ქვეყნის შიდა სამეწარმეო გარემოს, ასევე იმ სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქვეყნის სწორი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

**საკითხის შესწავლამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:**

- კონკურენცია და ჯანსაღი კონკურენციული გარემო საბაზრო ურთიერთობების განვითარების საწინდარია, ამიტომ ქვეყანა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებს, ყველანაირად უნდა ეცადოს, შეიმუშაოს პროგრესული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას.
- ამრიგად, შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება განსაკუთრებით აქტუალურია არა მარტო მაღალგანვითარებად, არამედ განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, სადაც ასეთი კანონმდებლობის არსებობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის შიგნით წარმოებისა და მომსახურების განვითარების სტიმულირება და საერთაშორისო ბაზარზე გასვლა.
- დღეს უკვე სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობაში ისახება პრობლემისადმი ახლებური მიდგომისა და მისი ეფექტიანი გადაწყვეტის პერსპექტივები.
- საქმე ის არის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობს მარეგულირებელი სააგენტოების საქმიანობას, თუმცა ის ფირმები, რომელთა ქცევაც უნდა დარეგულირდეს, კარგად ერკვევიან იმაში, თუ რა გავლენას მოახდენს რეგულაციები მათზე. ამიტომ, ასეთი ფირმები ცდილობენ პოლიტიკურ პროცესში ჩართვას, რათა რეგულაციები თავიანთ სასარგებლოდ მოირგონ.
- კონკურენტული ბაზრისგან განსხვავებით, მონოპოლისტი (ან კარტელური შეთანხმება) ამცირებს პროდუქციის მიწოდებას იმ რაოდენობამდე, სადაც მისი ზღვრული დანახარჯები შეესაბამება ზღვრულ შემოსავლებს. შედეგად, მონოპოლისტური ფასი შეესაბამება მოთხოვნის ფასს, რომელიც წარმოიქმნება

- შემცირებულ რაოდენობაზე. ყველა სხვა შესაძლო სიტუაციაში, ფასისა და რაოდენობის ეს კომბინაცია მონოპოლისტს აძლევს მაქსიმალურ შემოსავალს.
- მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფორმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს – მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს.
  - სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. შესაძლებელია კი ამ ინსტრუმენტების გამოყენებით საზოგადოებრივი დანაკარგების აღმოფხვრა? ამისათვის – ა) ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის და ბ) სააგენტომ ჯარიმით მიღებული შემოსავალი უნდა დაუბრუნოს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც ზარალი ნახა. როგორი „ჭკვიანიც“ უნდა იყოს სააგენტო, ის ამ ამოცანის შესრულებას ვერ შეძლებს.
  - ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საუკეთესო შემთხვევაში ვიღებთ საზოგადოებრივ დანაკარგებს + სააგენტოს საქმიანობით წარმოქმნილ დამატებით საზოგადოებრივ დანაკარგებს (რომელიც აღემატება მონოპოლიის დანაკარგებს) + სააგენტოს შენახვაზე გაწეულ დანახარჯებს და დაკანონებულ მონოპოლიებს.
  - რადგან პოლიტიკოსები მონოპოლისტური ფასის გამოვლენაში სირთულეს ხედავენ, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკით, მარეგულირებელ სააგენტოებს ძირითადად ევალებათ კარტელებთან ბრძოლა, ვინაიდან ფარული შეთანხმების გამოვლენა უფრო მარტივი ამოცანაა, ვიდრე მონოპოლისტური ფასის დადგენა. ფაქტობრივად, სააგენტო საგამომძიებლო საქმიანობითაა დაკავებული და ნაკლებად ებრძვის საზოგადოებრივ დანაკარგებს.
  - სამაგისტრო ნაშრომში ჩვენ გავანალიზეთ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა, განვიხილეთ მის მიერ გამოკვლეული მეტ-ნაკლებად პოპულარული საქმეები და დავინახეთ, რომ არც ერთ მის მიერ შესწავლილ

საქმეს საბოლოოდ შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით მიზერულ ჯარიმებს, რისი გადახდის შემდეგაც კომპანიები უცვლელად აგრძელებენ საქმიანობას და კონკურენციასაც ზღუდავენ. რეალურად, ჩვენ გვაქვს მონოპოლიები და დუოპოლიები, რისი გამოსწორებაც სააგენტომ ვერ შეძლო. ჯარიმის გამოწერა არ არის გამოსავალი, რადგან კომპანიები იხდიან ამ თანხას, მაგრამ ისევ თამაშის ჩვეული წესით მოქმედებენ, ბაზარზე არსებული ვითარება კი უცვლელი რჩება. სააგენტოს საქმიანობის შედეგი ბაზარზე არ ასახულა. სააგენტოს მიმართ ბევრი კითხვაა, რაზეც პასუხი არ აქვთ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამშრომლობა, შეჯიბრება, კონკურენცია . მადონა კეკელია. SEU and Science = სეუ და მეცნიერება. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. თბილისი, 2018. N 7 (7). გვ. 531-534.
2. ქართული ლუდსახარშების მედგარი კონკურენცია : ლუდის წარმოების ახალი ტენდენციები. ხატია გელოვანი. Entrepreneur საქართველო . თბილისი, 2018. ივნისი. N 3. გვ. 84-94.
3. გლობალიზაცია, კონკურენცია და თანამედროვე ბიზნესის პერსპექტივები. თამარ თალაკვაძე. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი. ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი; ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2017. N 2. ტ. IV. გვ. 23-26.
4. კონკურენცია სატრანსპორტო სისტემაში. ლ. ბუბუტიშვილი, ვ. ხარიტონაშვილი. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა : სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. თბილისი, 2016. N 2 (36). გვ. 210-213.
5. რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა-ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის. რევაზ ლორთქიფანიძე. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. ნოემბერ-დეკემბერი #6. გვ. 45-56. თბილისი 2014.
6. ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები. ფეტელავა სლავა. ჟურნალი-ეკონომისტი. გუგუშვილის ეკონ. ინსტიტუტი. ოქტომბერ-ნოემბერი #5. გვ. 22-32. თბილისის 2014.
7. კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. ჟურნალი-SEU and Science. #1 გვ. 162-166. თბილისი 2014.

8. საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი. პავლიაშვილი სოლომონ. ჟურნალი-მეცნიერება და ცხოვრება (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი) #2(10) გვ. 12-20. თბილისის 2104.
9. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ამოქმედდა. იობაშვილი თემურ. ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის-აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. #9(177) გვ. 25-28 თბილისი 2014.
10. როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ლექცინაძე ირაკლი. ჟურნალი-Forbes Georgia. თებერვალი @27. თბილისი 2014.
11. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა. სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი. გვ.462-468. თბილისი 2013
12. ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის. გოგიაშვილი შალვა. ჟურნალი-ეკონომისტი. დეკემბერი #6 გვ. 25-34. თბილისი 2013.
13. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული სახელმძღვანელო. კვიციანი მურთაზ. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. #4 გვ. 86. თბილისი 2013.
14. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახეები. სოხაძე კობა. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. სექტემბერ-ნოემბერი # 4-5. გვ. 34-36. თბილისი 2013.
15. ანტიმონოპოლიური სამართალი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. სერგია ნიკა. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. #3 გვ. 74-79. თბილისი 2013.
16. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია. დოლონაძე ირაკლი. ჟურნალი-საქართველოს ეკონომიკა. #12 (177) გვ. 24-29. თბილისი 2012.
17. ანტიმონოპოლიური სამსახური დააკანონებს მონოპოლიებს. ცომაია აკაკი. ჟურნალი-ტაბულა. #120 გვ. 44-47. თბილისი 2012.
18. კონკურენციის ახალი პოლიტიკა (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა). ხალიანი თათია. ჟურნალი-ლიბერალი 15-21 ოქტომბერი #111 გვ. 22-24. თბილისი 2012.


19. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. ახალი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ჟურნალი-ლიბერალი. #91 გვ, 38-41. თბილისი 2011.

**ინტერნეტრესურსები:**


1. <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>  
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2. [https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook GEO November%202018.pdf](https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook%20GEO%20November%202018.pdf)  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. კონკურენციის სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში  
<http://competition.ge/images/upload/კონკურენციის%20სააგენტოს%20წლიური%20ანგარიში-ქართული.pdf>  
გადამოწმებულია 26.052019
4. კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში  
<http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf>  
გადამოწმებულია 26.052019
5. კონკურენციის სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში  
<http://competition.ge/images/upload/კონკურენციის-სააგენტოს-2016-წლის-დეკემბრის-ანგარიში.pdf>  
გადამოწმებულია 26.052019
6. კონკურენციის სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში  
<http://competition.ge/images/upload/კონკურენციის-სააგენტოს-2016-წლის-დეკემბრის-ანგარიში.pdf>  
გადამოწმებულია 26.052019

## დანართები:

### საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით



### საქართველოს რეიტინგი სხვა ქვეყნებთან მიმართებით



საქართველოს პიზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით

წყარო:[http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci\\_2018\\_1\\_geo.pdf](http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf)

გადამოწმებული 18.05.2019

GCI რეიტინგში შემავალ ქვეყნებს აფასებს **4 მიმართულების** მიხედვით, რომელიც აერთიანებს აერთიანებს **12** მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებლები, თავის მხრივ, მოიცავს **98** კომპონენტს.



### რა არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)

- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

### რა მონაცემებს ეყრდნობა რეიტინგი

- რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB, IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები).

### რას მოიცავს ანგარიში (GCI)

- GCI ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით;
- GCI განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

### რამდენ ქვეყანას მოიცავს ანგარიში

- 2018 წლის კვლევა მოიცავს 140 ქვეყანას.